სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება №01-05-04/109

ქ. თბილისი

15 სექტემბერი 2026წ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე 2026-2027 სასწავლო წელს მოწვეული პერსონალის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სჯარო სამართლის იურიდიული პირის –საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, ფაკულტეტების დეკანების სამსახურებრივი ბარათებისა და აკადემიური საბჭოს 2026 წლის 15 სექტემბრის №01-05-02/13 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქვემოთ ჩამოთვლილ ფაკულტეტებზე 2026-2027 სასწავლო წლის პირველი და მეორე სემესტრის აკადემიური დატვირთვის შესასრულებლად მოწვეულ იქნეს შესაბამის დანართში მითითებული პერსონალი:

   - სამშენებლო ფაკულტეტი (იხ. დანართი 1);
   - აგრარული მეცნიერებებისა და ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტი. (იხ. დანართი 2);
   - სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერინგის ფაკულტეტი (იხ. დანართი 3);
   - არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი (იხ. დანართი 4);
   - სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი (იხ. დანართი 5);

- ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი (იხ. დანართი 6);
- დიზაინის საერთაშორისო სკოლა (იხ. დანართი 7);

- ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი (იხ. დანართი 8);
- სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი (იხ. დანართი 9);
- ენერგეტიკის ფაკულტეტი (იხ. დანართი 10);
- სამთო გეოლოგიური და მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტი (იხ. დანართი 11);

2. მოწვეული პროფესორის შრომის ანაზღაურება განისაზღვროს საათში 36 ლარის ოდენობით, მოწვეული ასოცირებული პროფესორის შრომის ანაზღაურება - საათში 27 ლარის ოდენობით, ხოლო ასისტენტ პროფესორის შრომის ანაზღაურება საათში 20,10 ლარს ოდენობით.

3. 2026-2027 სასწავლო წელს სტუ-ში საჯარო ლექციების წასაკითხად იქნენ მოწვეულნი 1 წლის ვადით შესაბამისი დანართით განსაზღვრული პირები (იხ. დანართი 13);

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**